საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6730/01
04/07/2022

6730-01-2-202207041558

მოქალაქე ნინო ჩიბჩიურს

(ელ.ფოსტა: [redacted])

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 20 ივნისს შემოსული #15992 წერილის პასუხად გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას:

2018 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2018 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მოგვმართა 10 სახელმწიფო უწყებებამ, 93 არასამთავრობო ორგანიზაციამ, 6-სამეწარმეო იურიდიულმა პირმა, 33-ჟურნალისტმა, ხოლო 76-ფიზიკურმა პირმა. **ჯამში შემოვიდა 218 განცხადება.**

რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (218). განმცხადებლები ითხოვდნენ თანამდებობრივი სარგოს, პრემიებისა და დანამატების, სახელმწიფო პროექტების, ადმინისტრაციული წამოების მასალების, სამართალდარღვევებზე რეაგირების სტატისტიკის, ტყითსარგებლობის ლიცენზიების, რეორგანიზაციის, ხანძრების სტატისტიკის, სამოქმედო გეგმების შესრულების, სარეკლამო ხარჯების და ასევე, გარემოსდაცითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციებს.

შემოსული 218 განცხადებიდან, 198 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში სრულად გაეცა პასუხი; 19 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს; 1 შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა განმცხადებელს იმ საფუძვლით, რომ სამინისტროში ინფორმაცია არ იყო დაცული;

2019 წელი

2019 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო

ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მოგვმართა 12 სახელმწიფო უწყებებამ, 99 არასამთავრობო ორგანიზაციამ, 9-სამეწარმეო იურიდიულმა პირმა, 30-ჟურნალისტმა, ხოლო 83-ფიზიკურმა პირმა. **ჯამში შემოვიდა 233 განცხადება.**

რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (233). განმცხადებლები ითხოვდნენ თევზის საწარმოებისა და სამართალდარღვევების, ბიოპროდუქციის მასერტიფიცირებელი ორგანიზაციების, თევზის გადამამუშავებელი საწარმოების წარმადობის, ექსპლუატაციაში შესვლის,აღიარების შეჩერება/ჩამორთმევის, ჰაერის დაბინძურების რუკის, მდინარეების დაბინძურების, საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკის, თანამდებობრივი სარგოს, პრემიებისა და დანამატების, ლიცენზიების და ასევე, გარემოსდაცითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციებს.

შემოსული 233 განცხადებიდან, 227 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში, სრულად გაეცა პასუხი; 5 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს; 1 შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა განმცხადებელს (უარის საფუძველი-ინფორმაცია სამინისტროში არ მუშავდებოდა იმ ფორმით, რასაც ითხოვდა განმცხადებელი);

2020 წელი

2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მოგვმართა 3 სახელმწიფო უწყებებამ, 113 არასამთავრობო ორგანიზაციამ, 10 სამეწარმეო იურიდიულმა პირმა, 25 ჟურნალისტმა, ხოლო 88 ფიზიკურმა პირმა. **ჯამში შემოვიდა 239 განცხადება.**

რეაგირება განხორცილედა ყველა განცხადებაზე (239). განმცხადებლები ითხოვდნენ განხორციელებული იმპორტის, საბურავების ნარჩენების მწარმოებლების, ნარჩენების აღდგენა-განთავსების ნებართვების მქონე იურიდიული პირების, სამონადირეო მეურნეობების,ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის საჯარო განხილვის ოქმებისა და ვიდეომასალის, გზშ-ს ანგარიშების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის და შორმის ანაზღაურების, სურსათისმიერი ტყვიის რისკის შეფასების შედეგების, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების მიერ იჯარით აღებული ფართობების, ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობის რეაგირების, ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების და ასევე, გარემოსდაცითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციებს.

შემოსული 239 განცხადებიდან 224 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში სრულად გაეცა პასუხი; 13 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს; 2 განცხადებაზე გაიცა უარი (ერთ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, მეორე შემთვევაში ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას);

2021 წელი

2021 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მოგვმართა 12 სახელმწიფო უწყებებამ, 108 არასამთავრობო ორგანიზაციამ, 18 სამეწარმეო იურიდიულმა პირმა, 50 ჟურნალისტმა, ხოლო 91 ფიზიკურმა პირმა. **ჯამში შემოვიდა 279 განცხადება.**

რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (279). კერძოდ,244 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში სრულად გაეცა პასუხი; 34 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს; 1 განცხადებაზე გაიცა უარი (ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას);

განმცხადებლები ითხოვდნენ ნამახვანი ჰესის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, პირობების შესრულების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების, ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის ჩატარებული ტრენინგების, სამინისტროსა და მის სისტემაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის, რუსთავის საწარმოების, ბიო/ორგანული სასუქების მწარმოებლებისა და სასუქების გამოყენების სტატისტიკის, ხანძრების პრევენციის შესახებ მოსაზრებების და რეაგირების, ტყის ინვენტარიზაციის, საჩხერის მუნიციპალიტეტში ჰესის მშენებლობისთვის გაცემული სკოპინგის და სკრინინგის ანგარიშებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების, ფოთში მდებარე ობიექტების-ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა აღრიცხვისა და ასევე, გარემოსდაცითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციებს.

2022 წელი

2022 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მოგვმართა 1 სახელმწიფო უწყებებამ, 38 არასამთავრობო ორგანიზაციამ, 4 სამეწარმეო იურიდიულმა პირმა, 6 ჟურნალისტმა, ხოლო 45 ფიზიკურმა პირმა. **ჯამში შემოვიდა 94 განცხადება.**

რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (94). მათ შორის: 59 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში სრულად გაეცა პასუხი; 32 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს; 1 განცხადებაზე გაიცა უარი (ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას); ნაწილობრივ გაეცა პასუხი 2 განცხადებაზე.

განმცხადებლები ითხოვდნენ სტიქიის შედეგად დაზიანებული ფართობების, ანაზღაურების, მხილების განცხადებების სტატისტიკის, ,,დანერგე მომავლის'' ფარგლებში გაშენებული ბარების, რუსთავის ფოლადის გაფრქვევების ანგარიშების, საქართველოში წარმოებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების, ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის თაობაზე გამოცემული ბრძანებებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების, ნამახვან ჰესის საპროექტი დოკუმენტებზე უარყოფითი დასკვნის, გაფრქვევების მონიტორინგის შემსრულებელი კომპანიების, "RMG Cpper" -ის სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების სკოპინგის დასკვნის, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრების რეგისტრაციის საფუძვლების, საჩხერის მუნიციპალიტეტში ჰესის მშენებლობისთვის გაცემული სკოპინგის და

სკრინინგის ანგარიშებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების და გარემოსდაცითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვა სახის ინფორმაციებს.

აქვე გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი რომელშიც დასაქმებულია ათი თანამშრომელი საზოგადოებასთან და მედიასთან კომუნიკაციის მიმართულებით. უშუალოდ საჯარო ინფორმაციის მომზადებასა და გაცემას უზრუნველყოფს 4 თანამშრომელი.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი